# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 9 დეკემბერი 2003 №234 (2005) | ფასი 50 თეთრი


# იმე, ჩემო იმერო!

## რაცა უკარდოდ და უხაკერდოდ მოგვიშორეს ამ თბილისლებმა

## ზესტაფონელი: აქედანა და გორამდე




ტორპედო — დილა 1:0. გორელმა მეკარემ რამაზ სოლოლაშვილმა ის ერთადერთი ბურთი გაუშვა, „ტორპედო“ ქვეექვსეულში რომ ჩაუშვა

გაფრინ კვიციანის ფოტო



გაფრინ კვიციანის ფოტო

# ფრანკფურტი და საქართველოს ბიუჯეტი

## ახალწილნაყარ მერაბ ჟორდანიას პროკურატურამ ქველი წილები გაუხსენა


იხილეთ მეხუთე გვერდი


# ფერგიუსონი ლიგას დიდი ფულით და გულით აგრძელებს

რა არ ილონა თურქულმა „ბეშიქთაშმა“ „ჩელსის“ სტამბოლში სამასპინძლოდ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდა, უეფამ ოსმალოთა და ბრიტანელთა შეხლის ალაგად გელზენკირხენული „აუფშალკე“ დათქვა და, ვეჭვობთ, გელზენკირხენი „დიდ თურქობას“ ვერ გადაურჩება. რომან აბრამოვიჩის „ჩელსის“ თავი ქუდში აქვს — ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალი წინა ტურში გაინაღდა, მაგრამ თავ-ფულმომწონე ლონდონელებს დღესაც ვერ მოუნელებიათ „სტემფორდ ბრიჯზე“ თურქთაგან ნაწვნევი 0:2. თუ ბრიტებს ოდენ ბოლმა სჭამთ, „ბეშიქთაშს“ სატურნირო ვითარება უშლის მოგების სალერღელს, საკმარისია, მირჩა ლუჩესკუს გუნდმა წაიფორხილოს, ხოლო „სპარტა“ — „ლაციოს“ პრალულ ჯახში ერთ-ერთმა იმარჯვოს, ოსმალები ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობებიან.

E ჯგუფიდან მერვედფინალში გასული ორეული უკვე ცნობილია — „მანჩესტერმა“ და „შტუტგარტმა“ საქმე ადრევე მოილიეს, თუმცა მათმა დღევანდელმა ოლდტრეფორდულმა შეხლამ ჯგუფის პირველადგილოსანი კი უნდა გამოავლინოს. ჩვენი ვარაუდით, მანჩესტერელები საამისოდ თავს არ დაზოგავენ და ალექს ფერგიუსონის გულს გაახარებენ, მით უფრო, ამ უქმეებზე სერის გული ისე აჩქარებულა, კლუბის თავკაცებს მის დასაწყნარებლად ფერგიუსონისთვის უებარი წამალი, ოთხწლიანი და ოცმილიონიანი კონტრაქტი გამოუწერიათ და სერსაც ხელი გულმშვიდად მოუწერია.

ხოლო ის, რომ დღეს და ხვალ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩებია, ვფიქრობთ, ამის შეხსენება ზედმეტი ინფორმაციაა.



საქართველოს უმაღლესი ლიგის 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 22 ტური



ბათუმელების მეკარე ზურაბ ქვაჩახია და რატი ალექსიძე: ძიუდოში ამ ილეთში ქულებს იძლევიან

# დინამომ ბათუმი რიკოთზე არ გადმოუშვა

კობა ინასარიძე

**მატჩის წინ** ბათუმელთა მწვრთნელი ასლან ბალაძე ამბობდა, „ვიტ ჯორჯიასთან" წაგების მერე ფეხბურთელები გულგატეხილები არიან, მაგრამ ამას ალბათ ეშველება და „დინამოსთან" საბრძოლო განწყობაც დაგვიბრუნდებაო.

ვერ დაუბრუნდა „ბათუმს" საბრძოლო განწყობა — სტუმრები ისე დამარცხდნენ, კუდის მოქნევაც ვერ შეძლეს. არადა, ცხრილის შუაში მყოფთ სამი ქულა ჰაერივით სჭირდებოდათ — თუ მოიგებდნენ, ზეექვსეულს ინაღდებდნენ, მაგრამ საამისო ძალა აღარ შერჩენოდათ.

„დინამომ" კი მეორე ეტაპამდე უახლოეს მდევართან სხვაობა კიდევ ქულით გაზარდა და როგორც დაიწყო ჩემპიონატი, მისი ნახევარიც ისევე ჩაამთავრა: პირველ ტურში თბილისელებმა „სპარტაკს" წირვა გამოუყვანეს და 6:0 დაამარცხეს, ახლა კი „ბათუმი" ემსხვერპლათ.

თამაში მასპინძლებმა შვიდ წუთში გააკეთეს. ორჯერ მიუახლოვდნენ ქვაჩახიას კარს და ორჯერვე გაიტანეს.

ორივე საგოლე პასი ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებულმა ანჩაბაძემ გააკეთა. მან ჯერ მცველებს შუა მყოფ ალექსიძეს ფეხზე დაასვა ბურთი და რატიმ ახლო კუთხეში შეაგდო, ორიოდ წუთში კი იაშვილი გრძელი პასით გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე. „დინამომ" 2:0-ზე ცოტა ხანს შეისვენა და ნახევარ საათში სტუმრებს ერთიც გაუტანა, რამაც შედეგთან დაკავშირებული ყველა კითხვა მოხსნა: ბათუმელებმა ხელოვნური თამაშგარეს შექმნა სცადეს, თუმც ეს ზუსტად ვერ შეძლეს, გოგობერიშვილის გონივრული პასით კი იაშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა — 3:0.

შესვენებაზე სტუმრებმა ერთბაშად სამი მოთამაშე შეცვალეს. შეიცვლა მეკარეც. საქმეში ჩაერთო გამთამაშებელი დარჩიძე და გუნდის ახლახან დაბრუნებული მეგოლე ფირცხალაიშვილი. „ბათუმიც" თითქოს გააქტიურდა, მაგრამ „დინამო" უშეცდომოდ თამაშობდა და მეტოქეს უპირატესობას არ ანებებდა. უკვე მოშლილ „ბათუმს" მასპინძლებმა მეორე ტაიმის გოლებამდეც რამდენჯერმე უჩხვლიტეს. ანჩაბაძემ საჯარიმოდან ტექნიკური დარტყმით ძელსაც მოარტყა, მერე კი ისევ საჯარიმოდან ცხრიანში დამიზნებულ ბურთს ბალაძემ თითები წაატანა. ისევ ძელი, თუმც ამჯერად შედეგიც — იაშვილმა დამატებაზე იყოჩაღა და ჰეთ თრიქიც გააკეთა. იქამდე ათი წუთით ადრე კი ალექსიძის ულამაზესი გოლი იყო: რატომ კვირკველიას ჩაწოდებული მიიღო და დასარტყმელად ისე მოირგო, ბალაძეს კარის გადარჩენის შანსი არ დაუტოვა.

ზეექვსეულის მომლოდინე „ბათუმს" ამბიციების დაკმაყოფილება ახლა ქვემოთ მოუწევს.

თბილისი. 7 დეკემბერი. 14 საათი. ეროვნული. 300 (ტევადობა 70 000)

## დინამო 5:0 ბათუმი

1:0 ალექსიძე (4), 2:0, 3:0 იაშვილი (7, 31), 4:0 ალექსიძე (71), 5:0 იაშვილი (80)

**დინამო:** გვარამაძე, წერეთელი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ახალაია, გოგობერიშვილი, კვირკველია (სახვაძე 81), დარასელია (კანდელაკი 40), ანჩაბაძე, ს. იაშვილი, ალექსიძე (მ. ბობოხიძე 76)
*სათადარიგონი:* ზოიძე, კაშია, ი. სამხარაძე, ხმალაძე
**მწვრთნელი:** იგო შუშაკი

**ბათუმი:** ქვაჩახია (ი. ბალაძე 46), კობიძე (დარჩიძე 46), ცანავა (ფირცხალაიშვილი 46), გალოგრე, ბეგლარ თედორაძე, გუშარაშვილი, მახარაძე, ქაცარავა, ი. შენგელია, მანჩხავა, კაკალაძე
*სათადარიგონი:* ბერიანიძე, რომანაძე, მ. სალუქვაძე
**მწვრთნელი:** ვალერიან ჩხარტიშვილი

**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), მ. ურუშაძე (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში; **დირექტორი:** გ. ცაავა

ჯარიმა: 13-16; კუთხური: 6-2; კარისკენ დარტყმა: 7-3; კარში დარტყმა: 10-3; თამაშგარე: 4-1



ორის გამტანი რატი ალექსიძე (№27), სამის გამტანი სანდრო იაშვილი (№20) და დამწუხრებული ბათუმელები



გიორგი ანჩაბაძე

# ოზურGET OUT, ძმა

## დემოკრატიის გაკვეთილი: თქვენ თამაშობთ, თქვენვე გაარჩიეთ

თბილისი. 7 დეკემბერი. 14 საათი. ოლიმპიკი. 150 მაყურებელი

## სპარტაკი 2:0 მერცხალი

1:0 ალადაშვილი (5), 2:0 ტატანაშვილი (45)

*ჩიკვილაძემ ვერ გაიტანა პენალტი (69, მეკარე)*

**სპარტაკი:** მამალაძე, გ. დოლიძე, ჟვანია, ჩიკვილაძე, ა. იმნაიშვილი, კვერენჩხილაძე, კ. ალადაშვილი, ბოლქვაძე, შ. ფირცხალავა (ბ. გოცირიძე 77), ტატანაშვილი (ებრალიძე 85), კოტრიკაძე (მგელაძე 80)
*სათადარიგონი:* ბ. შეყრილაძე, შამუგია, ჯანელიძე
**მწვრთნელი:** ვასილ ჭეიშვილი

**მერცხალი:** გია გოგუა, ჭალიაშვილი, გ. ილურიძე, მჟავანაძე, გ. წივწივაძე, ბართია, ახკურავა (დ. სიამაშვილი 64), მებონია (მაღლაფერიძე 74), გაბედავა, კალანდაძე, ხუჭუა
*სათადარიგონი:* როხაძე, ჩიჩუა
**მწვრთნელი:** აკაკი ათუაშვილი

**გაფრთხილება:** მებონია (34), კოტრიკაძე (53), ბართია (89)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), გ. ვადაჭკორია; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი; **დირექტორი:** გ. ელოშვილი

ჯარიმა: 24-19; კუთხური: 6-4; კარისკენ დარტყმა: 9-7; კარში დარტყმა: 15-3; თამაშგარე: 4-2

გიორგი ვაშაკიძე

**მე-15** ეროვნულის პირველი ეტაპი აუტსაიდერებმა დიღომში, „ოლიმპიკის" საფეხბურთო სკოლაში დაასრულეს. ქვეექვსეულშიც გამოკვეთილმა მაჩანჩალებმა სკოლის ხრიოკ მინდორზე ღირებული ვერაფერი შესთავაზეს ტრიბუნაზე აქა-იქ შეფენილ მაყურებელს. მასპინძლებმა დაუძაბავად დაამარცხეს ოზურგეთელები.

აკაკი ათუაშვილის შეგირდები თბილისიდან იქნებ სულ ცოტა, ქულის წაღებასაც კი გეგმავდნენ, მაგრამ მე-5 წუთზევე გაშვებულმა გოლმა იმედი ჩაკლა. კახა ალადაშვილმა მოედნის ცენტრში ბოლქვაძისგან მიიღო პასი და მეტოქის კარისკენ დაიძრა, ყველა შემხვედრს სლალომით აუარ-ჩაუარა და საჯარიმოს მიახლოებულმა გოგუას დაბალი დაურტყა — მეკარემ ნახტომი დააგვიანა.

თბილისელებმა მეხუთე წუთზევე კი გახსნეს ანგარიში, თუმც ამის გაკეთება ადრეც შეეძლოთ. გაუგებარია, როგორ ააცილა კარის წინ უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა შალვა ფირცხალავამ ორი მეტრიდან ბურთი გოგუას კარს.

მოატანა 23-ე წუთმაც და ალადაშვილმა დუბლის გახერხების შანსი გაანიავა — თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან გასროლილმა ბურთმა ოზურგეთელთა კარის ხარიხმა შეაზანზარა. ალადაშვილი პირველ ტაიმში მართლაც გამორჩეული იყო, ისევე, როგორც მეორეში მცველი ჩიკვილაძე, რომელიც აქტიურად ერთვებოდა შეტევებში.

ის-ის იყო, არბიტრმა ანიაშვილმა ტაიმის მიწურულს მეოთხე მსაჯ ფანიაშვილს ანიშნა, წუთი დაამატეო, „სპარტაკმა" საბოლოოდ რომ მოითავა საქმე: კახა ალადაშვილის დარტყმულ დაბალ ბურთს დიმიტრი ტატანაშვილმა ფეხი დაუხვედრა, მიმართულება უცვალა და გია გოგუამაც ვერაფერი იღონა.

შესვენებისას კი უჩვეულო რამ მოხდა: „სპარტაკის" მწვრთნელმა ვასილ ჭეიშვილმა გასახდელის კარი გამოიხურა, შეგირდებს შესძახა, თამაში თავად „დაარაზბორეთო", თვითონ კი სიგარეტს მოუკიდა. ბიჭებმაც „დაარაზბორეს": გასახდელიდან „ასე გავაგრძელოთ, ძმებო", „მეტოქეს ბურთის მიღების საშუალება არ უნდა მივცეთ" და მისთანანი ისმოდა. ერთი კი, ალბათ ფირცხალავა, ორი მეტრიდან გაცუდებულს ნანობდა.

ახლა ჩიკვილაძეზეც ვთქვათ, ზემოთ რომ შევაქეთ. „სპარტაკის" მე-5 ნომერი აქტიურად ერთვებოდა შეტევებში და პენალტიც მოინადირა, რომლის შესრულებაც თავადვე ითხოვა და ხელი მოეცარა. ისე ცუდად, სუსტად და უხეიროდ დაარტყა, გოგუას ბურთის მოხელთება არ გასჭირვებია.

ოზურგეთელთა შეტევებზე კი სიტყვა იმიტომ არ დაგვცდენია, რომ მათ კარის ჩარჩოში პირველად 73-ე წუთზე (!) დაარტყეს, როცა ვეტერანმა ჯონი კალანდაძემ შორიდან სცადა ბედი, მაგრამ მამალაძემ მშვიდად მიიღო ბურთი.

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XVIII ტური

ლე ავრი 3:2 შატორუ

## ინგლისი

I დივიზიონი. XXII ტური

ძოვენთრი 1:1 სანდერლენდი

## პორტუგალია

სუპერლიგა. XIII ტური

ბეირა მარი 2:0 ბელენენსეში

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XV ტური

უნტერჰახინგი 1:1 მაინცი

## მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

საამიროები

1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| არგენტინა 2:1დ.დ.(1:1) ეგვიპტე | ბურკინა ფასო 0:1 კანადა |
| იაპონია 2:1დ.დ.(1:1) სამხრეთ კორეა | აშშ 2:0 კოტ დივუარი |

# სად არის სხვაგან ახალი ჩირაღი?
## თბილისი ექვსეულში ცეცხლით და ტარანით შევიდა



ახალგაზრდა „თბილისს“ ახალგაზრდებმა უქომაგეს

**დავით თავართქილაძე**

**თუ** „ბათუმი“ და „ტორპედო“ წააგებდნენ, „თბილისი“ ფრითაც შედიოდა ზეექვსეულში, მაგრამ რახან „ტორპედო“ „დილასთან“ ადრეულად დაწინაურდა, თბილისელებს მხოლოდ და მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ. მოვლენები ისე განვითარდა, რომ „ლოკომოტივი“ დამარცხების შემთხვევაშიც რჩებოდა ექვსეულში, თუმც ამით „თბილისის“ გამარჯვება როდი კნინდება, უბრალოდ, ეს ხელშემწყობ ფაქტორად წაადგა გიორგი დევდარიანის გუნდს.

„თბილისს“ მაშხალებით შეიარაღებული ნორჩი ფანობა ამხნევებდა და მატჩის დაწყების წინ მათ ისეთ ცეცხლი გახსნეს, რომ შეხვედრა 4-5 წუთით გვიან დაიწყო.

თამაში თავიდან ფრთხილი იყო, „თბილისი“ თავქუდმოგლეჯილი არ წასულა შეტევაში, თუმც თანდათან დაეუფლა უპირატესობას. სტუმართაგან თორნიკე აფციაური გამოირჩა, ვინც ორჯერ დაემუქრა „ლოკომოტივის“ კარს — ჯერ 16-17 მეტრიდან ოდნავ ააცილა მიზანს, მერე თავურით სცადა ბედი და ამჯერადაც სიზუსტემ უმტყუნა.

რკინიგზას კი თითქოს ყინი აკლდა — შეტევაში არაფერი გამოსდიოდა, მაგრამ მოედნის ცენტრში რევაზ ქემოკლიძის შემწეობით გვარიან წინააღმდეგობას უწევდა „თბილისს“.

სტუმრებმა ერთხელაც გაახერხეს მწვავე იერიში — აფციაურის პასით გიორგი ჭელიძე ლამის პირისპირ აღმოჩნდა „ლოკომოტივის“ მეკარესთან, მაგრამ ზვიად ხაჩირაშვილი დროულად გამოვიდა კარიდან და მეტოქეს დაასწრო.

ტაიმის მიწურულს კი რევაზ ნაჭყეპიაც გაავარჯიშეს — ვლადიმერ კობახიძის შორეული, ძლიერი დარტყმა ნახტომით მოიგერია.

შესვენების შემდეგ „თბილისი“ უფრო შმაგად ეკვეთა „ლოკომოტივს“. გააქტიურდა თბილისელთა მთავარმეგოლე სულიკო დავითაშვილი — „აბრეზამ“ კარგი პასი გაუჭრა დავით ოდიკაძეს, რომელმაც ხაჩირაშვილს კი დაასწრო, მაგრამ ცარიელი კარიდან ბურთი სერგი ორბელაძემ გამოიტანა.

შემდეგ აფციაურმა და ჭელიძემ კარგად გაითამაშეს ბურთი, აფციაურმა ერთი მეურვეც ოსტატურად ჩამოიცილა, მაგრამ ბურთი ბადეში ხაჩირშვილმა არ შეუშვა.

ორჯერ გაანიავა გასატანი შანსი შეცვლაზე შესულმა რევაზ გეწაძემ, თუმც გოლი რკინიგზელთა კარში მწიფდებოდა და ქემოკლიძის მოედნიდან გასვლიდან ერთ წუთში მოსახდენიც მოხდა — თბილისელებმა თითქოს ტარანით შეიტანეს ბურთი „ლოკომოტივის“ საჯარიმოში, ორომტრიალში დავითაშვილი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში და ახლოდან საექვსეულო გოლიც გაიტანა.

ამის შემდეგ საინტერესო არაფერი მომხდარა — გუნდებმა მატჩი ჩაამთავრეს, ხოლო მერაბ მალაღურაძის ბოლო ჩასტვენის შემდეგ „თბილისი“ ექვსეულს ზეიმობდა — ფეხბურთელებმა დევდარიანი ჰაერშიც აისროლეს.

*გიორგი დევდარიანი:* ჩემს კარიერაში ასეთი დიდი სიხარული არასდროს განმიცდია. ჩვენი გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ზეექვსეულში მოხვედრა ბევრს ნიშნავს — ეს მათ დაოსტატებას წაადგება. მადლობა კლუბის ხელმძღვანელობას და გულშემატკივრებს.

*ლუის ცაკარიასი:* როცა „ლოკომოტივში“ ხელმეორედ მოვედი, ჩვენი მიზანი ზეექვსეული იყო და ამას მივაღწიეთ კიდეც. მატჩის პირველი ტაიმი მეორესთან შედარებით უკეთ ჩავატარეთ, მერე კი სოსელია, ორბელაძე და ქემოკლიძე ტრავმების გამო შესაცვლელნი შეიქნენ, დავით სირაძე დისკვალიფიცირებული გახლდათ, ნანა სიცხიანი — ხუთი წამყვანი ფეხბურთელის არყოფნა ნებისმიერ გუნდს დაასუსტებს. ჩემი გუნდიდან მეკარეს გამოვყოფდი. რაც შეეხება კლუბის პრეზიდენტ აკაკი ჩხაიძის გუნდიდან წასვლა-არწასვლას, პოლიტიკაში ვერ ჩავერევი, მაგრამ ჩხაიძე გუნდისთვის ნამდვილად საჭიროა.

თბილისი. 7 დეკემბერი. 14 საათი. ლოკომოტივი. 1 000 (ტევადობა 25 600)

### ლოკომოტივი 0:1 თბილისი

0:1 დავითაშვილი (71)

**ლოკომოტივი:** ხაჩირაშვილი, უგრეხელიძე, გაშაკიძე, ლ. სალუქვაძე, ორბელაძე (ქოქიაშვილი 64), ქემოკლიძე (ძამსაშვილი 70), სიჭინავა, რ. ონიანი, კობახიძე, მიქაძე, სოხელია (მ. ბურნაძე 46)
*სათადარიგონი:* ბოდოკია; გ. ონიანი, ხომერიკი, სანიკიძე
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**თბილისი:** ნაჭყეპია, ელიავა, კვარაცხელია, სიდამონიძე, ხოჯავა (გეწაძე 55), მესხი, ლოლაძე, დ. ოდიკაძე (მემარნიშვილი 75), გ. ნუგ. ჭელიძე (გოგიტა გოგუა 70), დავითაშვილი, აფციაური
*სათადარიგონი:* ივარდავა; მიქიაშვილი, გ. ნოდ. ჭელიძე
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე; ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი; **დირექტორი:** პ. ბურჯალიანი

ჯარიმა: 13-10; კარისკენ დარტყმა: 3-3; კარში დარტყმა: 3-5; კუთხური: 1-3; თამაშგარე: 1-1



სულიკო დავითაშვილი (№7): მეგოლემ თავისი მაინც გაიტანა

# იმედი არ მოგიშალოთ ღმერთმა

ფოთი. 7 დეკემბერი. 14 საათი. ფაზისი. 100 (ტევადობ 6 000)

### კოლხეთი 3:2 მცხეთა

1:0 შალამბერიძე (43), 2:0 ლონლაძე (20), 2:1, 2:2 პარამონოვი (26, 42), 3:2 კრასოვსკი (88)

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, თაყაძე, ქუტიძე, შ. ლონლაძე, მ. ქობულაძე, შალამბერიძე, ლალანიძე, ე. მარგალიტაძე, კრასოვსკი, გ. ტყებუჩავა, ნ. ნარსია
*სათადარიგონი:* ჩემია; კახაძე
**მწვრთნელი:** გია ტყებუჩავა

**მცხეთა:** ცინაძე, ჯ. სიამაშვილი, ჯაფარიძე, ჩაჩუა, კირვალიძე, კახნიაშვილი (ინაშვილი 83), ავალიანი, ლ. ჩხაიძე, ბ. ნოზაძე, მელიქია, პარამონოვი
*სათადარიგონი:* თ. ოდიკაძე; ჩუგუაშვილი
**მწვრთნელი:** ვლადიმერ გუცაევი

**გაფრთხილება:** ჯაფარიძე (78)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე (თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი), ი. აფციაური (დუშეთი); ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა; **დირექტორი:** ვ. ქორიძე

ჯარიმა: 17-24; კუთხური: 5-7; კარისკენ დარტყმა: 9-4; კარში დარტყმა: 7-6; თამაშგარე: 5-3

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

**პირველი** ეტაპის ბოლო ტურის ერთ-ერთი ყველაზე უინტერესო დაპირისპირების მცირედი ინტრიგა მხოლოდ ის იყო, რომელი გუნდი წაიმატებდა ქულათა მარაგს საგაზაფხულო სეკვესტრამდე.

უმთავარმწვრთნელოდ და რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე სტუმრებულ „მცხეთას“ არც კოლხები დაუხვდნენ დალხენილნი. ტრავმების გამო მათ ერთობ შეთხელებული შემადგენლობით მოუწიათ თამაშმა და მატჩამდე ჯუნგლი ტყებუჩავას საწუწუნო უპირველესად ეს გახლდათ.

საბოლოოდ მივიღეთ თამაში, რომელშიც დაცვის ზღუდეები ორივე მხარეს მორღვეული იყო. ჰოდა, პირველ ტაიმში მომენტებისა და გოლების ნაკლებობა არ დაიჩივლებოდა.

ამის დასტური სწრაფი გოლი გახლდათ. კრასოვსკის მიერ სტუმართა საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი მცველმა კი მოიგერია, მაგრამ პირდაპირ მარგალიტაძისკენ მიმართა, რომელმაც კარში დარტყმა კი მოიწადინა, მაგრამ ავალიანმა მოცელა. მაისურაძემ პენალტი უყოყმანოდ დანიშნა, შალამბერიძემ კი გაიტანა.

სტუმრებს აქცენტი ტანმაღალ პარამონოვზე გაეკეთებინათ და არც შემცდარან. მცხეთელთა მწვავე პასუხი სწორედ მას ეკუთვნოდა, თუმცა მათიაშვილმა მახვილი კუთხიდან დარტყმულის გაშვება არ ინება.

მეოცე წუთზე „კოლხეთმა“ საკმაო ფორა შეიქმნა. თაყაძის ჩაწოდებულს ყველაზე მაღლა ლონლაძე აუხტა და თავიც მარჯვედ მოიხმარა. სულ ორიოდ წუთში ტყებუჩავას გასამებაც მართებდა, მაგრამ უზუსტო დარტყმით თანაგუნდელები და განსაკუთრებით მწვრთნელი მამა დაალალატა.

ეს იყო და, „მცხეთამ“ მწვავედ შეუტია და ზედიზედ სამი კუთხური მოაწოდა. მეორე ჩაწოდებულზე პარამონოვის დარტყმისგან „კოლხეთი“ კარის ხაზზე მყოფმა მარგალიტაძემ იხსნა. თუმც მესამე კუთხურს გოლი მაინც მოჰყვა: იმავ პარამონოვის ახლოდან თავურს ვერავინ გადაელობა.

კოლხებმა ბურთი ცენტრიდან გაითამაშეს და კინაღამ აღადგინეს ორბურთიანი უპირატესობა. მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ნოშრევან ნარსიამ მცირედით ააცილა კარს. ამით არ ამოწურულა ამ ფეხმარდი მოთამაშის ფატალური უიღბლობა. მას ზედიზედ სამჯერ მიეცა გატანის ჩინებული შანსი, მაგრამ სამჯერვე უზუსტოდ გაისარჯა.

ნარსიას უიღბლობამ „კოლხეთი“ ტაიმის ბოლოსკენ ლოგიკურად დასაჯა. ავალიანის ჩაკიდებულს, რაღა თქმა უნდა, პარამონოვი გამოეხმაურა ისევ თავით და ბათიაშვილი უშანსოდ დატოვა.

მეორე ტაიმში მეტოქეებს დაღლა დაეტყოთ და უამრავ წუნს უშვებდნენ შეტევის ბოლო ფაზაში.

თითქოს მატჩიც ფრედ რომ უნდა მორჩენილიყო, კოლხებმა მაშინ გაიტანეს. მარცხენა ფლანგზე საჯარიმოს კიდესთან სტუმრებმა იუხეშეს. ლალანიძემ ჩვეულად ჩააწვია ბურთი შორეულ ძელთან, რასაც ცინაძე მოუმზადებელი შეხვდა. მან ბურთი ვერ დაიმორჩილა, ზედ კარის ხაზზე მას კრასოვსკიმ თავი წაჰკრა და გამარჯვებისა გაიტანა.

„მცხეთა“ ძლიერ გააბრაზა თითქოს მოპოვებული ქულის დაკარგვის პერსპექტივამ და სულ ბოლოს ჩაჩუამ კინაღამ ხელახლა გააყაიმა. მისი თავური ოდნავ უზუსტო გამოდგა და ხარიხას გადავლებულმა ბურთმა სტუმართა იმედებიც გაიყოლა.

*გია ყაჩლავაშვილი, „მცხეთას“ მწვრთნელი:* გამარჯვება ორივე გუნდს სურდა, მიუხედავად იმისა, რომ ზეექვსეულისთვის არც ერთი იბრძოდა. უფრო ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა, რაც ჩვენთვის ორი ქულის ტოლფასი იქნებოდა. სამომავლოდ გუნდი აუცილებლად გაძლიერდება და მერწმუნეთ, გაზაფხულზე სულ სხვა „მცხეთას“ იხილავთ.

*გია ტყებუჩავა, „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელი:* დამთავრდა პირველი ეტაპიც და ჩვენი წვალებაც. ასეთი დათარსული სეზონი ჯერ არ გვქონია. საგაისოდ 3-4 კაცს აუცილებლად დავიმატებთ, შეკრებასაც გავივლით და „კოლხეთიც“ გუნდს დაემსგავსება.

ბადრი კოპილიანის ფოტო



ახალი „ტორპედო“ რომ დაბლა ჯახირობდა, ძველი ტრიბუნაზე იჯდა

# ტორპედომ ტორპედოს ცრემლები ნახა

ქუთაისი. 7 დეკემბერი. 14 საათი. ტორპედო. 3 000 (ტევადობა 19 600)

## ტორპედო 1:0 დილა

1:0 ნერგაძე (28)

ტორპედო: სტურუა, ხვადაგიანი, ლ. ქელიძე, მახვილაძე, ს. თოდუა, ნერგაძე, ბაბუნაშვილი, გ. ჩხეტიანი, გამეზარდაშვილი, დარსაძე (მუშკუდიანი 73), ახალკაცი (ზ. ქუთათელაძე 38)
*სათადარიგონი:* გ. სომხიშვილი; ლალაძე, ნ. ნადირაძე, გოგოლაძე
მწვრთნელი: ჟოაო კამპუში

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, რაზმაძე, ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, მარლიშვილი (ხანიშვილი 86), ოლგესაშვილი, გ. ჩიტაია, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; გ. ნადირაძე, გ. კაიდარაშვილი, მასურაშვილი, ქარქუზაშვილი
მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი

გაფრთხილება: ოლგესაშვილი (51)

მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: გ. ჯიშკარიანი

ჯარიმა: 16-22; კუთხური: 10-0; კარისკენ დარტყმა: 2-2; კარში დარტყმა: 4-2; თამაშგარე: 1-0

კახა შალამბერიძე ქუთაისიდან

**ასეთი** მოწყენილი ქუთაისი საფეხბურთო საქართველოს რა ხანია, არ ახსოვს — „ტორპედო“ ექვსეულს მიღმა დარჩა.

ქვეყნის სამგზის ჩემპიონები მატჩამდე უხასიათობას არ უჩიოდნენ. როგორც ჩანს, ჟოაო კამპუშმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო გუნდის ფსიქოლოგიურ მზადყოფნას. მოედანზე გასულმა ფეხბურთელებმა მშობლიური საფარი შეათვალიერეს და სამახსოვრო სურათების გადაღებაც არ დაიზარეს. კამპუში ბიჭებს ამხნევებდა, ფეხბურთელებიც ხალისიანად ისმენდნენ მის სიტყვებს.

ჟოაო კამპუშზე ცალკეც უნდა ითქვას — კოსტუმში გამოწყობილი ბრაზილიელი უჩვეულოდ უემოციო იყო და თავდახრილი მშვიდად დაბიჯებდა მოედანზე. ვერ გეტყვით, გული ცუდს უგრძნობდა თუ რა იყო, მაგრამ ფაქტია, მატჩისას წამდაუწუმ ხელების ქნევასა და შეძახილებში გაწაფული მწვრთნელი კვირას სათადარიგოთა სკამიდან არც წამომდგარა. ერთადერთი, გიორგი ნერგაძის გოლისას წამოხტა და შეგირდები შეაგულიანა...

„ტორპედოს“ სულ მცირე, ორბურთიანი სხვაობით მოგება სჭირდებოდა საზეექვსეულოდ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეეძლოთ რიონისპირელებს მშვიდად ყოფნა. 1:0-ზე კი ქუთათურებს თბილისის „ლოკომოტივის“ იმედი თუ ექნებოდათ.

მატჩი დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა. „ტორპედოს“ სწრაფი გოლის გატანა ეწადა და „დილას“ კარისკენ დაიძრა, მაგრამ სახიფათო მომენტების შექმნა უჭირდა. სტუმრები დაცვის ხაზში კი ცდებოდნენ, მაგრამ ტორპედოელ თავდამსხმელებს სივრცეებს მაინც უზღუდავდნენ. ბევრს ეგონა, „ტორპედოს“ შეტევებს შედეგი მალე მოჰყვებოდა, მაგრამ... გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი „დილას“ მიეცა — კარის წინ მარტო დარჩენილმა ბექა ჩიტაიამ ვითომ ლაზათიანად კი მოიქნია ფეხი, მაგრამ კარს ააცილა. სტადიონმა ამოიხრა და „ტორპედოს“ ქომაგების სტვენა დაატყდა თავს.

გამოფხიზლებულმა მასპინძლებმა გორელებს „შეუღრინეს“ და 28-ე წუთზე ლამაზი გოლითაც დაწინაურდნენ — შოთა ბაბუნაშვილის ზუსტ პასს გიორგი ნერგაძემ შეუჩერებლად ამოსცხო და მარჯვენა დაბალ კუთხეში ჩასვა ბურთი — 1:0.

ახლა მეორე გოლი იყო საჭირო, მაგრამ „ტორპედომ“ ტაიმის ბოლომდე ველარაფერი შეძლო. ულიმღამო შეტევებს გორელები იოლად უმკლავდებოდნენ. ქუთაისელი ქომაგობა მაინც იმედიანად იყო: „ლოკომოტივი“ „თბილისთან“ არ წააგებს და 1:0-იც გვიშველისო.

ამ დროს სტადიონის დიქტორმა სხვა მატჩების ანგარიშები გამოაცხადა და... ვერ ვიხსენებ იმ დროს, როცა ქუთაისელ ქომაგს თბილისის „დინამოს“ მოგება ასე გახარებოდა. ივო შუშაკის შეგირდები 3:0-ს უგებდნენ „ტორპედოს“ ერთ-ერთ კონკურენტ „ბათუმს“. ამ ინფორმაციას მხურვალე ტაში და შეძახილები მოჰყვა.

მეორე ტაიმიც მშვიდი და ულიმღამო გამოდგა. „ტორპედო“ სასურველ ანგარიშს ეძებდა, „დილას“ კი ერთადერთი პრობლემა დარჩენოდა — გოლი არ გაეშვა.

ასეთი საფრთხის წინაშე გორელები ორჯერ დადგნენ — ჯერ ნერგაძის თავური გამოიტანა კარის ხაზიდან ლუკა რაზმაძემ, მერე კი დარსაძე დარჩა მეკარესთან პირისპირ, თუმცა ბურთთან განშორება დაენანა.

დრო „დილაზე“ მუშაობდა. ბოლო წუთებში „ტორპედომ“ შტურმისმაგვარი მოაწყო, მაგრამ რამაზ სოლოლაშვილი კბილებით იცავდა კარს. და მაინც, მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე „ტორპედოს“ კიდევ ერთი შანსი მიეცა — გამეზარდაშვილმა მეკარეს თავით დაასწრო, თუმც გიორგი ბალაშვილი თავგანწირული ნახტომით თავითვე შესწვდა ბურთს და ცარიელი კარიდან გამოიტანა.

მატჩი დამთავრდა. „ტორპედო“ ექვსეულს მიღმა დარჩა. მოედანზე დაფენილი მასპინძლები გორელებმა ანუგეშეს. აცრემლებულმა „ტორპედომ“ სტადიონი უხმაუროდ დატოვა. „დილა“ კი ზეიმობდა — წააგო, მაგრამ ქუთაისი მოგებულმა დატოვა. ხალხმაც გორელები ტაშით გააცილა.

ბადრი კოპილიანის ფოტო



გორელმა ლუკა რაზმაძემ რამაზ სოლოლაშვილის დაცარგული კარი დაიცვა

თბილისი. 7 დეკემბერი. 14 საათი. შევარდენი. 300 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 2:0 სიონი

1:0 მარცვალაძე (59), 2:0 ადამია (87)

ვიტ ჯორჯია: მამარდაშვილი, გ. გოგიაშვილი, ლ. მეტრეველი (ზვ. ლაბაძე 90), დოლმენაშვილი, ბეღელსიანი, ინწკირველი, მარცვალაძე, ლ. ნოზაძე (გოქრიაშვილი 88), დეკანოსიძე (დათუნაიშვილი 64), ადამია, რ. გოცირიძე
*სათადარიგონი:* შერლანი; კვაბაძე, ბერულიძე, ე. მეტრეველი
მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე

სიონი: ვოლკოვი, ბაქრაძე, ჭიჭველიშვილი, ხუჯაძე, გოლაური, ფანჩულიძე, გაბიდაური, გაბისკირია, კოშკაძე, გონჩაროვი, გ. შენგელია
*სათადარიგონი:* ა. ლაბაძე; დაუშვილი, დარსანია, ისიანი
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

გაძევება: ფანჩულიძე (45)

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია; დირექტორი: ო. კორღალიძე

ჯარიმა: 17-9; კუთხური: 2-2; კარისკენ დარტყმა: 5-5; კარში დარტყმა: 5-5; თამაშგარე: 2-3

# დუელი გასროლის გარეშე ბორისს კარი გაეხსნა

პაატა კვანტალიანი

**„ვიტ ჯორჯია“** საზამთროდ შეივერცხლა — მეორე ადგილზე ჩაამთავრა პირველი ეტაპი. ზურაბ ბერიძის გუნდი, „დინამოს“ მსგავსად, სტაბილურობით და შედეგიანობით გამოირჩეოდა, ვეტერინარებს მხოლოდ იმაზე თუ დასწყდებათ გული, რომ მიამიტი ბავშვივით დაეჩაგვრინენ „კოლხეთს“ საშინაო მატჩში. სხვა მხრივ ბერიძის გუნდი პირველი ეტაპით უკმაყოფილო არ უნდა იყოს და გაზაფხულიდან უეჭველად ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტიც იქნება.

„ვიტ ჯორჯიამ“ საკვირაო-საზამთრო მატჩში საგაზაფხულოდ მნიშვნელოვანი ქულები შეიმატა, თანაც ამბიციური მეტოქე ჰყავდა „სიონის“ სახით. შევნიშნოთ, რომ ბოლნისელებმა სწორედ „ვიტ ჯორჯიასთან“ შეწყვიტეს მოგებათა საშინო სერია — „თამაზ სტეფანიაზე“ პირველ წრეში ფრე იყო. მაშინდელის მსგავსად, კვირასაც თანაბარი თამაში გაჩაღდა, ეგ არის, ბოლნისელებმა, მეტოქისგან განსხვავებით, საგოლე შანსები გაფლანგეს და ხელმოცარულნი გაბრუნდნენ შინ.

ლიდერთა ნავთლუღური დაპირისპირება მთლიანობაში უსახური გამოდგა. ორივე მხრიდან ბევრი იყო წუნი და თამაშის ისეთი მონაკვეთები, ფეხბურთელები ორ ხეირიან პასს რომ ვერ აკეთებდნენ.

ჩემპიონატის ბომბარდირების, რეზო გოცირიძის და ბორის გონჩაროვის უშუალო ჭიდილი ზავით კი დასრულდა, მაგრამ გოცირიძემ კონკურენტზე მეტი ნაღდად შეძლო, რაკილა თავისიანების ორივე გოლში დაიდო წილი. არადა, გონჩაროვს რომ გამართლებოდა, გამარჯვებულიც გამოვიდოდა. სიონელს ინწკირველის უხეში შეცდომის შედეგად პირველი ტაიმის ბოლოს ისეთი მომენტი შეექმნა, უკეთესს ვერ ინატრებდი საგოლედ, თუმც მეკარესთან პირისპირ გასულმა ველარ ივარგა. ამ ეპიზოდიდან წუთიც არ იყო გასული, ფანჩულიძეს შელაპარაკება რომ მოუხდა თანამსაჯ ზაზა მენთეშაშვილთან. მენთეშაშვილმა არბიტრი იხმო, მაგინა ფანჩულიძემო, მოახსენა და მეშკოვმაც წითელი აუფრიალა ხოტორა სიონელს.

ათკაცა სტუმარი მეორე ტაიმშიც უტევდა, უტევდნენ მასპინძლებიც, მაგრამ ეს ყველაფერი კეთდებოდა ნელა, შეცდომებით და დიდი ჯაჯგურის ფასად.

თოთხმეტი წუთის განახლებული იყო მატჩი, გონჩაროვი კვლავაც საგოლედ რომ დარჩა შენგელიას ზუსტი პასით. ბორისმა მეკარეს კი აჯობა, მაგრამ ძელს ვერ მოუხერხა ვერაფერი. „სიონი“ კი მეორე საგოლე შანსის გამოუყენებლობისთვის მწარედ დაისაჯა — „ვიტ ჯორჯიამ“ ანგარიში გახსნა: ადამიას ჯარიმისას გოცირიძემ ვარდნაში გააქანა კარისკენ ბურთი, ვოლკოვმა უხეიროდ მოიგერია და იქვე ჩასაფრებულმა მარცვალაძემ უპრობლემოდ გაიტანა — 1:0.

დროის გასვლასთან ერთად კაცნაკლულ „სიონს“ უფრო და უფრო უჭირდა შეტევების ორგანიზება. დიდი ჯაფა დაადგა ახალგაზრდა ალექსანდრე კოშკაძეს, ფანჩულიძის გარეშე დარჩენილი ფლანგის ათვისებასაც რომ ცდილობდა და თანაგუნდელთა პასებით მომარაგებასაც. საბოლოოდ ქვემოქართლელთა მცდელობას არაფერი მოჰყოლია, მეტიც, თამაშის მიწურულს ვიტელებმა მეორეც გაიტანეს — ადამიამ გოცირიძის ზუსტი პასით კარში ჩაჭედა ბურთი.

| სატურნირო ვითარება პირველი ეტაპის შემდეგ | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 15 | 5 | 2 | 49:8 | 50 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 12 | 6 | 4 | 38:15 | 42 |
| სიონი | 22 | 11 | 7 | 4 | 31:18 | 40 |
| თბილისი | 22 | 10 | 5 | 7 | 41:26 | 35 |
| დილა | 22 | 10 | 4 | 8 | 28:20 | 34 |
| ლოკომოტივი | 22 | 10 | 4 | 8 | 32:24 | 34 |
| ტორპედო | 22 | 10 | 4 | 8 | 27:24 | 34 |
| ბათუმი | 22 | 10 | 2 | 10 | 26:28 | 32 |
| კოლხეთი | 22 | 7 | 3 | 12 | 18:35 | 24 |
| მცხეთა | 22 | 6 | 2 | 14 | 25:55 | 20 |
| სპარტაკი | 22 | 4 | 4 | 14 | 14:47 | 16 |
| მერცხალი | 22 | 2 | 4 | 16 | 18:45 | 10 |

სატურნირო ვითარება განახევრებული ქულებით

| I-VI ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 25 |
| ვიტ ჯორჯია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 21 |
| სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 20 |
| თბილისი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 18 |
| დილა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 17 |
| ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 17 |

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 17 |
| ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 16 |
| კოლხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 12 |
| მცხეთა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| სპარტაკი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 8 |
| მერცხალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 5 |

*პარასკევს ფრანკფურტში გამართულ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი მოვლენა ხომ იყო და, 5 დეკემბერს არანაკლები ინტერესით ეროვნული გუნდის მომავალი მწვრთნელის ვინაობის გამჟღავნებასაც ველოდით.*

*წილისყრა ჩატარდა და შედეგი ყველამ იცის, ნაკრების თავკაცობის კანდიდატებთან წინასწარი მოლაპარაკებებიც ფედერაციამ უკვე გამართა, მაგრამ ვისთან, ეს უკვე აღარ ვიცით. სამაგიეროდ, სახალხოდ გაცხადდა პროკურატურის განცხადება – ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას თბილისის „დინამოს" პრეზიდენტობისდროინდელი საქმეები გაუხსნეს.*

*პროკურატურა ჟორდანიასა და „დინამოს" იმ დროის დარღვევებზე ედავება, როცა ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით კლუბი გადასახადებისგან თავისუფალი იყო*



# მერაბ ჟორდანიას ახალი წილისყრა და ძველი თავისტკივილი

## დი-ნა-მო! დასძახა პროკურატურამ

**მერაბ ჟორდანიამ** გუშინდელი პრესკონფერენციაც ამ თემით დაიწყო:

— საქმე, რომელიც პროკურატურას კიდევ ძიებაში აქვს, ეხება არა კონკრეტულად რომელიმე პიროვნებას, არამედ საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს". ჩემი პრეზიდენტობის დროს „დინამოს" თანხა არ დაუტაცებია, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაზე გვედავებიან. დიახ, ვაღიარებ, რომ იყო გარკვეული დარღვევები, მაგრამ ეს ქართული ფეხბურთის ფლაგმანის, თბილისის „დინამოს" შესანარჩუნებლად მოხდა.

...როცა მე თბილისის „დინამო" დავტოვე, კლუბი მზად იყო, დავალიანება გაესტუმრებინა, მაგრამ არ აცალეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მაშინ, პირდაპირ ვთქვათ, კლუბი პატრონებს წაართვა. ეს სამინისტრო გახდა „დინამოს" სამართალმემკვიდრე და თუ ვალი იყო, სამინისტროს უნდა გადაეხადა. ფეხბურთის ფედერაცია კი ამ საქმეში საერთოდ პირნათელია. როცა ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში პირველად გავიმარჯვე, 600 ათასი ვალი დაგვხვდა, ეს ვალი ძველი ფედერაციის სამართალმემკვიდრეს, ანუ ჩვენ, დღესდღეობით ბოლომდე გასტუმრებული გვაქვს. „დინამოს" საქმე კი „დინამოში" უნდა გაირკვეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრაზე ეს თქვა:

— ფრანკფურტში წილისყრის დამსწრე სპეციალისტთა უმრავლესობამ ჩვენი ჯგუფი ერთ-ერთ უძლიერესად მიიჩნია. ვეთანხმები მათ შეფასებას, თუმცა, ვფიქრობ, შეიძლებოდა უფრო ძლიერ მეტოქეებთან მოვხვედრილიყავით, მათთან, რომლებთანაც წინასწარ განწირულები ვიქნებოდით. დღეს კი მგონია, ჩვენი ჯგუფის გუნდებთან შინ და სტუმრადაც წარმატებით თამაში შეიძლება. საქართველოს ნაკრების მიზანი კი წილისყრამდეც ყველამ იცოდა — მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ვითამაშოთ.

...ნაკრების მომავალ მწვრთნელზე რა გითხრათ. ცოტაც მოვითმინოთ, ძველით ახალ წლამდე ახალი მწვრთნელის ვინაობას აუცილებლად გამოვაცხადებთ. უკვე მიმდინარეობს რამდენიმე კანდიდატთან მოლაპარაკება, მაგრამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე ვერაფერს გეტყვით.

...ჩვენი ნაკრების თავკაცობის მსურველი ბევრი უცხოელი იყო, თუმცა ახლა მოლაპარაკება ორ-სამ სპეციალისტთან გვაქვს.

...მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კალენდარზე სტამბოლში ან კიევში მოვილაპარაკებთ. შეხვედრის ადგილს ამ დღეებში დავაზუსტებთ.

...საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს შეიძლება ახალი მწვრთნელის დანიშვნაზე რაღაც გავლენა ჰქონდეს, მაგრამ ეს გადამწყვეტი არ იქნება. ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ მწვრთნელი მოვიწვიოთ. საამისო თადარიგი ადრევე დავიჭირეთ.

...შეიდგუნდიან ჯგუფში მოვხვდით, რაც ამხანაგური მატჩების გამართვის საშუალებას შეგვიმცირებს. ერთი, კვიპროსის საერთაშორისო ტურნირში ჩვენი მონაწილეობა უკვე გადაწყვეტილია, დანარჩენი კი ვნახოთ. შემოთავაზება გვაქვს განიდან და LG-ის მოსკოვის საერთაშორისო ტურნირიდან. ვის ვეთამაშებით და რომელ ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას, ეს შესარჩევი ეტაპის კალენდრის დადგენის შემდეგ გაირკვევა.

...ჯგუფის ფავორიტების დასახელებისგან თავს შევიკავებდი. ჩვენს ყველა მეტოქეს მიაჩნია, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსი აქვს, ჩვენც წარმატების იმედი გვაქვს.

**ძოგა ინასარიძე**

# ოთარ ხიზანეიშვილი: ხორვატის ხელიდან ჩეხის ხელში

**მოსკოვის „დინამო"** პირველი პრემიერლიგური კლუბია, რომელმაც შვებულება უკვე დაასრულა და საახალსეზონო მზადებისთვის შეიკრიბა. ფეხბურთელებმა სამედიცინო შემოწმებაც გაიარეს და „პეტროვსკი პარკ"-ში მდებარე მანეჟში ვარჯიშობენ. „დინამოს" ახალი მთავარი მწვრთნელის, ჩეხ იაროსლავ ჰრებიკის განკარგულებაშია ქართველი ოთარ ხიზანეიშვილიც, რომელმაც რამდენიმე დღის წინ დატოვა თბილისის „დინამო" და მოსკოვში გაფრინდა.

მოგეხსენებათ, ხიზანეიშვილი თბილისურ „დინამოში" სწორედ მოსკოვური „დინამოდან" იყო განათხოვრებული. ოთარს თითქოს რუსულ პრემიერლიგაში თამაში არ უნდოდა და სხვა ქვეყნების კლუბებისგან ელოდა წინადადებებს, თუმცა ჰრებიკმა მისი საქმეში ნახვაც ისურვა და თუ მოეწონა, ალბათ, გუნდშიც დაიტოვებს. ხიზანეიშვილის გარდა მოსკოვის „დინამოში" კიდევ ორი ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს — სამხრეთაფრიკელი დიონ შეპარდი და უკრაინელი ვიტალი ნესინი.

ჩეხმა მწვრთნელმა სამივე ახალწვეული ათამაშა „ორკარაში". ხიზანეიშვილი ცენტრალური მცველი იყო და, რუსი ჟურნალისტების თქმით, ურიგოდ არ გამოიყურებოდა.

ამათ გარდა, დიდი შანსია, მოსკოვის „დინამოში" ცნობილი ანდრეი კანჩელსკისიც ჩაირიცხოს. ყოველ შემთხვევაში, იაროსლავ ჰრებიკმა „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „რეინჯერსის" ყოფილი ნახევარმცველი მეორე საწვრთნელ შეკრებაზე მიიწვია.

ეს შეკრება კი 10 დეკემბრამდე გაგრძელდება და, სავარაუდოდ, ხიზანეიშვილი მეორე დღესვე დაბრუნდება თბილისში — „დინამო" ფეხბურთელებს 3 იანვრამდე დაასვენებს, მერე კი გუნდი უცხოურ საწვრთნელ შეკრებას გაივლის. სწორედ ამ დროს გაირკვევა, წაჰყვება თუ არა უცხოეთში „დინამოს" ქართველი მცველიც.

**ძახა შალამბერიძე**

# ბენდელა მუდამ იქნება

**„ბენდელას თასი"** — ტრადიციული და ყველასათვის ცნობილი მინიფეხბურთის ტურნირი.

აფხაზეთში ტრაგიკულად დაღუპული ზაზა ბენდელიანის სახელობის ტურნირი, რომლის ორგანიზატორებიც მისი მეგობრები არიან, ისევ წლის ბოლოს, თბილისის სპორტის სასახლეში 22 დეკემბერს დაიწყება და 27-მდე გასტანს.

ასევე ტრადიციულად, „ბენდელას თასი" ბავშვებისთვისაც მოეწყობა. ამჯერად ტურნირში 1992 წელს დაბადებულნი ითამაშებენ — სულ 16 გუნდი. უფროსების ტურნირში კი 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის „დინამო", „თბილისი", „ლოკომოტივი" და „დილა", პირველი ლიგის „სამტრედია" და ლეგიონერების გუნდი. დანარჩენი ექვსი გუნდის ვინაობაც მალე გაირკვევა.

ტურნირის წილისყრა 19 დეკემბერს კუს ტბაზე გაიმართება.

**ძოგა ინასარიძე**

# დარსაძემ ამერი დატოვა

**საქართველოს** ჩემპიონატის პირველ ლიგაში პირველი წრის დასრულების მერე „ამერის" მთავარმა მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ კლუბი დატოვა.

კლუბის ხელმძღვანელობისთვის გაიოზ დარსაძის წასვლა მოულოდნელი იყო. ახალი მთავარი მწვრთნელი ჯერ არ შეურჩევიათ, მის დანიშვნამდე კი გუნდს მწვრთნელი თამაზ კოსტავა უხელმძღვანელებს.

გუნდი ამჟამად შვებულებაშია და ვარჯიშს 19 დეკემბერს განაახლებს. მეორე წრის დაწყებამდე „ამერი" შეკრებას სავარაუდოდ თურქეთში გაივლის.

**გიორგი დარჯანია**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ემპოლი 1:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | გლადბახი 2:1 | 90 | | 15 | 0 | 9 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ბოხუმი 4:2 | 90 | | 14 | 6 | 8 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ბოხუმი 4:2 | 0 | სათადარიგო | 14 | 1 | 8 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | დუისბურგი 2:2 | 65 | შეცვალეს | 15 | 6 | 17 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | დანდი იუნ. 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 9 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | დანდი იუნ. 2:1 | 90 | | 13 | 0 | 2 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | კილმარნოკი 1:2 | 0 | ტრანსფერზეა | 9 | 0 | 8 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | ვოლენდამი 0:2 | 90 | | 14 | 0 | 10 |
| **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | სიონი | ს | ბელინცონა 1:0 | 90 | 1 გოლი | ? | ? | 16 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | ს | ბელასიცა 1:2 | 90 | | 14 | 4 | 6 |
| ლევან შავგულიძე | ჩერნო მორე | შ | მაკედონსკა 2:0 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 13 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | შ | მაკედონსკა 2:0 | 90 | | 6 | 0 | 13 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | რაპიდი 1:1 | 70 | შეცვალეს | 12 | 0 | 9 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | ანთალია 1:1 | 90 | | 9 | 0 | 5 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | ოლიმპიაკოსი 1:1 | 90 | 1 გოლი | 12 | 6 | 5 |
| ლევან მაღრაძე | აელ | შ | ევტაპასი 4:0 | 90 | 1 გოლი | 10 | 2 | 7 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | პაფოსი 0:2 | 90 | | 9 | 7 | 9 |
| გიორგი ქორიძე | ევტაპასი | ს | აელ 0:4 | 90 | | 11 | 5 | 13 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ყაველას ყავლი არ გასვლია

## ფრაიბურგი 8!

**„ფრაიბურგმა"** 4:2 დაამარცხა „ბოხუმი" და ამ სეზონში თავისთვის საუკეთესო მერვე ადგილს უწია. ალექსანდრე იაშვილმა სრულად ითამაშა და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო მოედანზე. გერმანულმა „კიკერმა" ჩვენებურს საკმაოდ მაღალი შეფასება დაუწერა. ლევან ცქიტიშვილმა კი მატჩისწინა მოთელვაზე ფეხი იტკინა და სათადარიგოთა სკამზე დარჩა. „ცქიტოს" ტრავმა სერიოზული არაა, თუმცა მწვრთნელები ზედმეტ რისკს მაინც მოერიდნენ.

უარველაძეოდ მოიგო „რეინჯერსმა". შოთამაც ტრავმის გამო გამოტოვა „დანდი იუნაიტედთან" მატჩი. ზურაბ ხიზანიშვილი კი ძირითად შემადგენლობაში იყო.

ჰოლანდიაში „ტვენტეს" გალაღებას „ვოლენდამმა" მოუღო ბოლო. გოგა გახოკიძის გუნდი სტუმრად უშანსოდ დამარცხდა და მეათე ადგილამდე დაქვეითდა.

კვიპროსის ჩემპიონატში ორი ქართული გოლი გავიდა: თემურ ქეცბაიამ „ანართოსისს" ქულა გადაურჩინა „ოლიმპიაკოსთან" ჯახში, ლევან მაღრაძის აელ-მა კი 4:0 მოსპო გიორგი ქორიძის „ევტაპასი". მაღრაძემ მეორე გოლი გაუტანა მეტოქეს.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელობიდან შვეიცარიაში დაბრუნებულმა და „სიონში" ჩარიცხულმა მიხეილ ყაველაშვილმა სტუმრად „ბელინცონას" მე-4 წუთზევე გაუტანა. „სიონმა" სწორედ ჩვენებურის გოლით დაამარცხა მეტოქე და სატურნირო ცხრილში ახლა მე-16 ადგილზეა, თუმცა აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ყაველაშვილის გუნდმა სხვებთან შედარებით ექვსით ნაკლები მატჩი ითამაშა.

**ძახა შალამბერიძე**

## ინგლისი
### პრემიერლიგა. XV ტური

**ლიდსი 1:1 ჩელსი**

1:0 პენანტი (18), 1:1 დაფი (70)
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, რადებე, დაბერი, ჰარტი, პენანტი, მატეო, მაკფაილი (დომი 64), მილნერი (ს. ჯონსონი 63), ვიდუკა, ა. სმიტი
მწვრთნელი: ედი გრეი
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, ტერი, ბრიჯი, ჯ. კოული (კრესპო 46), მაკელელე, ლამპარდი, დაფი, მუტუ, ჰასელბაინკი (გრონკიაერი 74)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: სმიტი, რადებე, მატეო, ჰასელბაინკი, მუტუ
მსაჯი: დინი
36 305 მაყურებელი

**ლესტერი 1:1 არსენალი**

0:1 ჟილბერტო სილვა (60), 1:1 ჰინეტი (90)
ლესტერი: უოქერი, იმპი, ტეტჩერი, ჰაუი, დავიდსონი, სკოუკროფტი, შიმეკა, მაკკინლი (ჰინეტი 59), ჯ. სტიუარტი, მ. ბენტი (დიკოვი 67), ლ. ფერდინანდი (გილესპი 76)
მწვრთნელი: მიკი ადამსი
არსენალი: ლემანი, კ. ტურე, ს. კემპბელი, სიგანი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (კიოუნი 88), ჟილბერტო სილვა, ედუ, პირესი, ბერხკამპი (კლიჩი 74), ალიადიერი (ვილტორდი 67)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ფერდინანდი, ლემანი
გაძევება: კოული (73)
მსაჯი: სტაილზი
32 108 მაყურებელი

**მანჩესტერი 4:0 ასტონ ვილა**

1:0, 2:0 ვან ნისტელროი (16, 45), 3:0, 4:0 ფორლანი (90, 90)
მანჩესტერი: ჰოვარდი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, კ. ფორჩუნი, კ. რონალდო, ფ. ნევილი (ბელიონი 59), როი კინი, კლებერსონი, გიგზი (სქოულზი 59), ვან ნისტელროი (ფორლანი 72)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ასტონ ვილა: სორენსენი, დილანი, მელბერგი, დაბლინი, ჯ. სამუელი, გ. მაკკანი, ჰენდრი, ბერი, უიტინგემი (ჰიცლსპერგერი 72), პ. ანხელი (ოლბოკი 64), ვასელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ჰენდრი
მსაჯი: დანი
67 621 მაყურებელი

**ნიუკასლი 1:1 ლივერპული**

0:1 მერფი (6), 1:1 შირერი (63პ)
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი (სოლანო 46), ვუდგეიტი, ბრამბლი, ბერნარი, დაიერი, ჯენასი, სპიდი, რობერი, შირერი, ამეობი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ლივერპული: კირკლენდი, რიისე, ბისკანი, ჰიიპია, ოტსემობორი, დენი მერფი, ჰამანი, ჯერარდი, დიუფი, ჰესკი, სინამა-პონგოლე (შმიცერი 52)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ბრამბლი, ოტსემობორი, კირკლენდი, ჰამანი, დიუფი
მსაჯი: პოლი
52 151 მაყურებელი

**ფულემი 2:1 ბოლტონი**

0:1 კ. დევისი (53), 1:1 შ. დევისი (75), 2:1 საჰა (76)
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, მელვილი, ნაითი, ბონისელი, მალბრანკი, ლეგვინსკი, შ. დევისი (ჯეტუ 81), ინამოტო (საჰა 58), კლარკი, საჰა (ჰეილსი 61)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ნგოტი, ჩარლტონი, რ. გარდნერი, ფრანდსენი (იანაკოპულოსი 81), კამპო (ბა 89), ოკოჩა, ჯორკაეფი, კ. დევისი, ნოლანი (ჟარდელი 85)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: გარდნერი, ფრანდსენი
მსაჯი: დურსო
14 393 მაყურებელი

**ტოტენჰემი 5:2 ვულვერჰემპტონი**

1:0 კინი (29), 1:1 ინსი (30), 2:1 კანო (50), 3:1, 4:1 კინი (75, 83), 4:2 რაე (84), 5:2 დალმა (90)
ტოტენჰემი: კელერი, კარი, ტარიკო, ე. გარდნერი, რიჩარდსი, პოიეტი (დალმა 76), კინგი, ანდერტონი, გ. რიკეტსი (კონჩესკი 67), რობი კინი, კანო
მწვრთნელი: დევიდ პლიტი
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, ირვინი, ნეილორი, კრადოკი, ბატლერი, ინსი, რაე (მილერი 86), კენედი, კამერონი, ბლეიქი (სტარიჯი 57), ა. კამარა
მწვრთნელი: დეივ ჯონსი
გაფრთხილება: რიჩარდსი, ანდერტონი
მსაჯი: რენიე
34 825 მაყურებელი

**ევერტონი 0:0 მანჩესტერ სიტი**

ევერტონი: მარტინი, ჰაიბერტი (კილბეინი 46), სტაბსი, ანსუორთი, ნეისმიტი, კარსლი, ტაი, გრაველსენი, ჯეფერსი (კ. კემპბელი 64), რუნი (მაკფადენი 46), რაძინსკი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
მანჩესტერ სიტი: სიმენი (სტურ-ელეგაარდი 52), ჟიხაი, სომეილი, რ. დანი, დისტინი, რაიტ-ფილიპსი (ვანჩოპე 77), მაკმანამანი, ჯ. ბარტონი, ტ. სინკლერი, ანელკა, ფაულერი
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: ნეისმიტი, ბარტონი
მსაჯი: უინტერი
37 871 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:0 პორტსმუთი**

მიდლსბრო: შვარცერი, მილსი, კუპერი, საუთგეიტი, კედრუ, მენდიეტა, ბოატენგი, გრინინგი, ზენდენი, ჟუნინიო პაულისტა (ნემეტი 68), მ. რიკეტსი (მაკარონე 67)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
პორტსმუთი: სრნიჩეკი, ბ. ჟივკოვიჩი, ფოქსი, დე ზეუვი, მეთიუ ტეილორი, სტოუნი, სმერტინი, ფეიე (ქვოში 66), ბერგერი (შერვუდი 90), შერინგემი (პრიმუსი 81), აიეგბენი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: გრინინგი, ნემეტი, სტოუნი, ფოქსი, სტოუნი, ბერგერი
გაძევება: სტოუნი (78)
მსაჯი: ბენეტი
28 031 მაყურებელი

**ბირმინგემი 0:4 ბლეკბერნი**

0:1 ფერგიუსონი (66), 0:2 ნაილი (68), 0:3 თუგაი (82), 0:4 გალაჰერი (88)
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, კენა (ა. სისე 79), კანინგემი, ტებილი, კლეპამი, დ. ჯონსონი, სევიჯი (კლემენსი 83), დ. დანი, ლაზარიდისი (მორისონი 73), დიუგარი, ფორსელი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსლი
ბლეკბერნი: ფრიდელი, ბაბელი, შორტი, ტოდი, გრეშკო, ნაილი, თუგაი, ბ. ფერგიუსონი, ემერტონი, გალაჰერი, იორკი (ენდი კოული 59)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: დიუგარი, ემერტონი, დიუგარი
გაძევება: დიუგარი (72)
მსაჯი: ბარბერი
29 354 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 3:2 ჩარლტონი**

1:0 მიხაელ სვენსონი (6), 2:0 ორმეროდი (45), 2:1, 2:2 პარკერი (46, 65), 3:2 ორმეროდი (86)
საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი, ლუნდეკვამი, მიხაელ სვენსონი, ჰიგინბოთემი, პახარსი (ფილიპსი 77), ტელფერი, პრატონი, დელაპი, ბიტი, ორმეროდი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ჩარლტონი: კიელი, კიშიშევი, პერი, ჰრეიდარსონი, ჯ. ფორჩუნი, გ. სტიუარტი, ჰოლანდი, პარკერი, კ. იენსენი, იუელი, დი კანიო (კ. კოული 76)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
მსაჯი: უელტონი
30 513 მაყურებელი

# იორკშირი იღვიძებს
# ფერგის გულმა და მანჩესტერმა უერთგულეს

ზედიზედ ორი წაგება, ერთი ლიგაში, მეორე კი ქარლინგის თასზე, ფიქრი იმაზე, რომ „ჩელსისთან" მატჩში პენალტი უსამართლოდ დაუნიშნეს, სასამართლო პროცესი ცხენჩემპიონის „გიბრალტარის კლდის" პატრონი რომ უნდა გაარკვიოს და მრავალი უფრო პატარა სადარდებელიც: აი, ის მიზეზები, რომლებმაც სერ ალექს ფერგიუსონის გული შუა კვირაში წუთში სამასი დარტყმით შეაწუხეს.

დიახ, ფერგის გულმა შეუტია და მედიამ ისიც კი დაწერა, ვინლა დაუდებს გულმტკივან მოხუცს ოთხწლიან და ოცმილიონიან კონტრაქტსო. თუმცა ეს კონტრაქტი მანჩესტერელთა თავკაცმა კვირას, საავადმყოფოდან გამოწერის ორი დღის თავზე გააფორმა.

ფერგიუსონი პარასკევს შუადღით დაუბრუნდა კლუბს და ხალისიანი პრესკონფერენციაც გამართა: კარგად ვარ, საქმე წინ წავა. მესამე ადგილს და ლიდერთან ოთხქულიან ჩამორჩენას დიდად არ ვნაღვლობ, ყველამ იცის, რომ სეზონის მეორე ნახევარში „მანჩესტერი" ყველაზე კარგად თამაშობს და ჩემი გუნდიც სწორედ ამისკენ მიაბიჯებსო.

განგებამ უსმინა, თუ რა იყო, შაბათ საღამოს „მანჩესტერი" კვლავ ხელისგაწვდენამდე აღმოჩნდა ლიდერებთან, რადგან გასვლაზე მოთამაშე „ჩელსიმ" და „არსენალმა" ვერ მოიგეს, ალისფერებმა კი 4:0 დაამარცხეს „ასტონ ვილა" რუუდ ვან ნისტელროისა და დიეგო ფორლანის წყვილწყვილი გოლებით. „ვილამ" მხოლოდ სტატისტიკური ტრადიცია გააგრძელა — ათი თამაში მიითვალა, „ოლდ ტრაფორდიდან" უგოლოდ რომ გამობრუნდა.

